# კავკასიის  უნივერსიტეტი

## კავკასიის მედიის სკოლა

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საბაკალავრო პროგრამა ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციაში |
| | |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | **BA of Social Sciences in Journalism and Mass Communication** |
| | |

| | |
|---|---|
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| | |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | უმაღლესი |
| | |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა | ქართული |
| | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | |
| ქართულად: | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში |
| ინლისურად: | Bachelor of Social Science in Mass Communication |
| პროგრამის ხელმძღვანელი | მარინა ვაშაყმაძე<br>თანახელმძღვანელი ნინო ჟიჟილაშვილი |

| | |
|---|---|
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | |

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც თანაბრად არის განაწილებული ოთხ სასწავლო წელზე. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 21 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 42 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც ბაკალავრის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა შედგება ზოგადსაუნივერსიტეტო, სპეციალობის საგნების და თავისუფალი/ალტერნატიული კრედიტებისგან.

პროგრამა შედგება ზოგადსაუნივერსიტეტო და სპეციალობის საგნებისაგან, სულ 240 ECTS.

ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები - 110 ECTS: ჰუმანიტარული მეცნიერებები 20 ECTS, ქართული
ენა და მეტყველება 15 ECTS, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები 20 ECTS, უცხო ენა 40 ECTS,
კომპიუტერული მეცნიერებები 5 ECTS, ეკონომიკა და ბიზნესი - 10 ECTS.

სპეციალობის სავალდებულო (70 ECTS) და არჩევითი საგნები (60 ECTS) შედგება: თეორიული
20 ECTS და პრაქტიკული საგნებსგან 110 ECTS (მედია ეთიკა, მედია სამართალი, გამოხატვის
თავისუფლება და ჟურნალისტიკის ყველა ფორმატის შემსწავლელი საგნები).

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 25 ECTS კრედიტი აითვისოს ალტერნატიული გზით - თავისუფალი კრედიტებით, რაც გამოიხატება კავკასიის უნივერსიტეტის ან პარტნიორი უნივერსიტეტის პროგრამებით გათვალისწინებული საგნების გავლით (15 ECTS) და პრაქტიკული საქმიანობით ჟურნალისტიკასა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში, ასევე კონფერენციაში მონაწილეობით (10 ECTS).

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრის) განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

| | |
|---|---|
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ➢ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.<br>➢ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში; |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე ჟურნალისტიკა ახალი დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის მოქალაქეებს აწვდის იმ ზუსტ და სანდო ინფორმაციას, რაც მათ გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველდღიურად სჭირდებათ. ის ეწევა ძალაუფლების მქონეთა უწყვეტ მონიტორინგს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად და პრევენციისათვის. ის მოქალაქეებს მარტივად და ნათლად განუმარტავს იმ ფუნდამენტური ცვლილებების და რთული პროცესების არსს, რაც თან სდევს პოლიტიკური სისტემის სრულყოფისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ეკონომიკურ რეფორმებს, ინსტიტუციურ მშენებლობას, საგარეო პოლიტიკაში ახალი ვექტორების გაჩენას. ის მოქალაქეებს მოსაზრებებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებას აწვდის და საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ დებატებში რთავს მათ.<br><br>მაღალი პროფესიული სტანდარტების ჟურნალისტიკას ასეთივე სტანდარტების მატარებელი ჟურნალისტები ქმნიან. ჩვენი პროგრამის მიზანი ისეთი ჟურნალისტების მომზადებაა, რომელთაც სიღრმისეულად ესმით ჟურნალისტიკის ნორმები, ღირებულებები, ინსტრუმენტები და სტანდარტები, რომლებიც საფუძვლიანად ერკვევიან ჟურნალისტური პრაქტიკის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებლივ და ეთიკურ ასპექტებში და ფლობენ საკმარის ცოდნას იმ ინტელექტუალური გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც ჟურნალისტიკას აყენებს თანამედროვე გლობალური რეალობა.<br><br>პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მედიის სკოლის სტუდენტებისთვის უმაღლესი კვალიფიკციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხარისხიანი სწავლებისთვის კი - თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნას. |

| | |
|---|---|
| პროგრამის სწავლის შედეგი | მედიის კონვერგენცია გვაიძულებს გადავხედოთ ტრადიციულ შეხედულებებს იმაზე, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევებია აუცილებელი ჟურნალისტისათვის და თავიდან გავიაზროთ, თუ როგორი საგანმანათლებლო პროგრამებია საჭირო ამ ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაცემად. დღეს დამსაქმებლები მედია საშუალებებიდან ეძებენ ახალგაზრდებს, რომელთაც აქვთ ძირითადი მედია აღჭურვილობის და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი და რომელთაც შეუძლიათ არა მხოლოდ წერა და ტექსტის რედაქტირება ან მხოლოდ აუდიო და ვიდეო მასალის ჩაწერა და მონტაჟი, ფოტოს გადაღება და რედაქტირება, არამედ ყველა ამ ფუნქციის ერთნაირი ეფექტურობით განხორციელება. მედია პროექტების მართვის უნარი ზემოთ აღწერილ ცოდნასა და უნარებთან კომბინაციაში ახალგაზრდისათვის მნიშვნელოვანი უპირატესობაა დასაქმებისას წარმატების მისაღწევად. პირობები სამუშაო ძალის ბაზარზე სწრაფად იცვლება. იმისათვის, რომ იყოს საკმარისად მოქნილი და გაუმკლავდეს ბაზრის გამოწვევებს, ახალგაზრდა სპეციალისტმა უნდა შეძლოს მუშაობა არა მხოლოდ ჟურნალისტიკის სფეროში, არამედ იმ რამდენიმე მომიჯნავე სექტორშიც, რომელსაც მასობრივი კომუნიკაციები მოიცავს. იზრდება მოთხოვნა მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტებზე სარეკლამო ინდუსტრიაში და ყველა ტიპის ორგანიზაციაში, რომელსაც კი ურთიერთობა აქვს საზოგადებასთან. ამ გარემოებების გათვალისწინებით კავკასიის მედიის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ეუფლებიან არა მხოლოდ ბეჭდურ, სამაუწყებლო, ონლაინ და ფოტოჟურნალისტიკას, არამედ მედია მენეჯმენტის, რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებსაც.<br><br>ჩვენი კურსდამთავრებული იქნება ჟურნალისტი და მასობრივი კომუნიკაციების ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც ექნება საკმარისი ცოდნა და ტექნიკური უნარები იმისათვის, რომ შექმნას კომპოზიციურად და შინაარსობრივად საშუალო სირთულის, ხარისხიანი ტექსტური, ფოტო, აუდიო და ვიდეო მედია ნაშრომი გაზეთის, ჟურნალის, ონლაინ გამოცემის და მაუწყებლობის, რადიოს და ტელევიზიისათვის, დაგეგმოს და წარმატებით განახორციელოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალო სირთულის კამპანია, შექმნას საშუალო სირთულის სარეკლამო ტექსტი, მოამზადოს და მართოს საშუალო სირთულის მედია პროექტი, დაგეგმოს და განახორციელოს საშუალო სირთულის კვლევა მედია სექტორისათვის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად. ჩვენი კურსდამთავრებულების ტექნიკური უნარ-ჩვევები მოიცავს შედარებით მარტივი მონაცემთა ბაზის აგებისა და მართვის უნარს, აუდიო ჩამწერი მოწყობილობის გამოყენების უნარს, ფოტო და ვიდეო კამერის გამოყენების უნარს, იმ კომპიუტერული პროგრამების გამოყენების უნარს, რაც საჭიროა გვერდების დასაკაბადონებლად, ფოტოსა და ილუსტრაციების რედაქტირებისათვის, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მონტაჟისათვის, ტექსტური, ფოტო, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ვებზე ასატვირთად და მართვისათვის.<br><br>ასე რომ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:<br><br>ცოდნა და გაცნობიერება:<br>• აქვს გაცნობიერებული ჟურნალისტიკის სამოქალაქო და სოციალური მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ის ვალდებულებები, რასაც მათ ამ პროფესიული ჯგუფის წევრობა აკისრებს.<br>• აქვს საკმარისი ცოდნა და ტექნიკური უნარები იმისათვის, რომ შესაბამისი აღჭურვილობის და ტექნოლოგიის გამოყენებით, შეძლონ ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება, ორგანიზება, სინთეზი და აუდიტორიისათვის გადაცემა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ცალკეული ფორმისა და მიწოდების სისტემის შესატყვის ფორმატებში.<br>• აქვს თეორული ცოდნა და უნარები განახორციელოს კვლევა მასობრივი კომუნიკაციების სფეროში და გამოიყენოს კვლევის |

| | |
|---|---|
| დასაქმების სფეროები | კავკასიის მედიის სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობა ორიენტირებულია იმაზე, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის კურსდამთავრებულს გათავისებული ჰქონდეს დარგის სპეციფიკა და მნიშვნელობა, არჩეული პროფესიის არსი და იყოს დასაქმებული. მათი დასაქმება შესაძლებელია ისეთ პოზიციებზე, სადაც აუცილებელი მოთხოვნაა მასკომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.<br>კავკასიის მედიის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დღეის მდგომარეობით ჰყავს 36 კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია პროფილით, ხოლო 95% დასაქმებულია. ამჟამად პროგრამზე რეგისტრირებულია 155 სტუდენტი. დამსაქმებელთა ინტერვიუირების საფუძველზე დადგინდა შრომის ბაზრის მოთხოვნები, რაც შესაბამისად აისახა სასწავლო კურიკულუმში პროგრამის განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნული ასევე მუდმივადაა გათვალისწინებული კავკასიის უნივერსიტეტის მიერ 2006 წლიდან დღემდე გაფორმებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის მემორანდუმებში. პროგრამის სრულყოფა ხდება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებზე.<br>კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა და დასაქმების სამსახური.<br><br>დამსაქმებელ პარტნიორთა შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ “სხვა რესურსები განყოფილებაში”. რაც შეეხება სტატისტიკას, კურსდამთავრებულების სტაჟირებისა და დასაქმების მაჩვენებლების დასადგენად კავკასიის უნივერსიტეტმა 2015 წელს ჩაატარა კვლევა. გამოიკითხული 380 კურსდამთავრებულიდან, რომელთა შორის იყვნენ მედიის სკოლის კურსდამთავრებულებიც, შედეგი ასეთია:<br><br>დასაქმებული გამოკითვის მომენტში 85,8%<br>სტაჟირება გავლილი ან დასაქმებული წარსულში 1.7%<br>არასდროს ყოფილა დასქმებული 0.5% |

| |
|---|
| სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა |

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის (პრეზენტაციის ან პრაქტიკული პროექტების) შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი - ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
- პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საველე მუშაობა, ინდივიდუალური პროექტი და სხვა.
- დისკუსია/დებატები – ინტერაქცია;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი (Case study) - კონკრეტულ შემთხვევების განხილვა, რომლის დროსაც ხდება საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლა;
- გონებრივი იერიში (Brain storming) - კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბება და გამოთქმის ხელშეწყობა;
- დემონსტრირების მეთოდი – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში.

## პროგრამის სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის აღწერა | სავალდებულო/ არჩევითი | ECTS კრედიტი | სწავლების სემესტრი |
|---|---|---|---|---|
| მედია მონიტორინგი, ლაბორატორიული | ეს არის მომავალი ჟურნალისტებისთვის შექმნილი შესავალი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებს ეტაპობრივად გააცნოს ქართული და მსოფლიო მედია საშუალებები და გამოუმუშავოს ახალი ამბების ყოველდღიური მოძიება/მიღების, ანალიზის ჩვევა.<br><br>კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები სწავლობენ პროფესიონალური და სტანდარტების გარეშე შექმნილი ჟურნალისტური პროდუქტის გარჩევას, უყალიბდებათ ჟურნალისტური გემოვნება; ხდებიან ინფორმირებულები საკუთარ ქვეყანაში, რეგიონში, თუ მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა სფეროს მოვლენების შესახებ.<br><br>კურსის განმავლობაში გათვალისწნებულია მოქმედ ჟურნალისტებთან მაქსიმალური კომუნიკაცია; არსებულ რედაქციებში, სატელეიზიო სტუდიებში გასვლითი ლექციები. | სავალდებულო | 5 | I |
| პუბლიცისტიკა, შესავალი | პუბლიცისტიკის კურსი გულისხმობს მე-19 საუკუნის ქართული პერიოდიკის ისტორიის შესწავლას. სტუდენტები გაეცნობიან პირველი ქართული პერიოდული გამოცემის „საქართველოს გაზეთის“, „ტფილისის უწყებათას“ „ცისკრის“ , „საქართველოს მოამბის“ „დროების“ „კრებულის“ „ივერიის“ ისტორიას. ასევე სტუდენტები წაიკითხავენ მე-19 და მე-20 საუკუნეების პუბლიცისტურ ტექსტებს.ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ოთარ ჭილაძის, ჯემალ ქარჩხაძის, აკაკი ბაქრაძის, ნიკოლოზ მიწიშვილის, ზვიდ გამსახურდიას ნააზრევს. შეისწავლიან პუბლიცისტურ ჟანრებს. | სავალდებულო | 5 | I |
| საქართველოს ისტორია | საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები. | სავალდებულო | 5 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქართული მართლწერა და მართლმეტყველება | კურსი ორიენტირებულია დაეხმაროს მომავალ ჟურნალისტებს ქართული მართლწერისა და მეტყველების კულტურის დახვეწაში. სტუდენტები გაიღრმავებენ ქართული გრამატიკის თეორიულ ცოდნას; ზეპირი და წერითი მეტყველების დასახვეწად შეასრულებენ ტიპობრივ სავარჯიშოებს; მედიატექსტების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოავლენენ თანამედროვე ჟურნალისტიკაში მეტყველების ეტიკეტთან და გრამატიკული კომპეტენციის ფლობასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ აზრის გამართულად ჩამოყალიბების, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. ისინი მოაწყობენ პრეზენტაციებს , დისკუსიებს და შეიძენენ აუდიტორიასთან ურთიერთობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს. | სავალდებულო | 5 | I |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება, ლაბ. | საგანი შეასწავლის სტუდენტებს თუ როგორ უნდა გამოიყენონ კომპიუტერი, როგორც მონაცემთა ეფექტური ორგანიზების, ანალიზისა და კომუნიკაციის საშუალება. საგნის საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამებსა და ინტერნეტ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, ძირითად კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და კონცეფციებს. საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: Email -ის აპლიკაციები, MS Windows 8, MS OFFICE 2013- ის პროგრამები: MS Word, MS Power Point მაღალ დონეზე და MS Excell (საბაზისო დონეზე). | სავალდებულო | 5 | I |
| ზოგადი ინგლისური A1.0/ B1.0/B2.0 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის (მეორე სემესტრის სალექციო კურსსა და პროფესიულ ენასთან ერთობლიობაში), წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს A 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. | სავალდებულო | 5 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ახალი ამბები | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტი მიიღებს ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ახალი ამბავი და დაეუფლება უნარ-ჩვევებს ამბების სხვადასხვა ფორმატში გადმოსაცემად. სტუდენტები ისწავლიან ყველა ტიპის ჟურნალისტური ამოცანის გადაწყვეტას. კურსის განმავლობაში ისინი შექმნიან ჟურნალისტურ ტექსტებს, სხვადასხვა მიმართულების მედია საშუალებებისთვის (სააგენტო, გაზეთი, ჟურნალი), სამაუწყებლო (რადიო, ტელევიზია) და ონლაინ გამოცემებისთვის; შეძლებენ იმის გარკვევას, თუ რა არის საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ახალი ამბავი და როგორ უნდა მოხდეს მისი მიწოდება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ჟურნალისტური პრინციპების სრული დაცვით | სავალდებულო | 5 | II |
| რიტორიკა და პრეზენტაციის უნარები | კურსი სტუდენტებს შეასწავლის იმას, თუ როგორ მოემზადონ საჯარო გამოსვლისთვის, როგორ დაამყარონ აუდიტორიასთან სასურველი კონტაქტი და მოახდინონ მასზე ზემოქმედება, როგორ წარმართონ დისკუსია და გაიმარჯვონ კამათში. სალექციო კურსი მომავალ ჟურნალისტებს დაეხმარება შეარჩიონ შესაბამისი სამეტყველო სტილი, მიაღწიონ მეტყველების სიზუსტეს, ლოგიკურობას. | სავალდებულო | 5 | II |
| მასობრივი კომუნიკაცია, შესავალი | კომუნიკაცია, როგორც პროცესი<br>მესიჯის გაგზავნა და უკუკავშირი<br>მასობრივი კომუნიკაცია და მისი თავისებურებები<br>მედიის განვითარების ეტაპები<br>მედიის მთავარი თეორიები<br>რეკლამა როგორც კომუნიკაციის ფორმა<br>მოკლევადიანი და გრძელვადიანი გავლენა აუდიტორიაზე<br>კამპანიები და უკუკავშირი<br>პოლიტიკური კამპანიები<br>ახალი მედია და PR | სავალდებულო | 5 | II |
| ზოგადი ფსიქოლოგია, შესავალი | აღნიშნული კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ეფექტური კომუნიკაცია, კომუნიკაციის ოქროს წესები. აღქმის ფილტრები და აღქმის 3 პოზიცია. კალიბლირება, სხეულის ენა, მიმიკა და ჟესტიკულაცია. მეტამოდელი. ლოგიკური დონეები და მისი მნიშვნელობა ეფექტურ კომუნიკაციაში. წარმატების ფსიქოლოგია. ტყუილის ფსიქოლოგია. მოდელი TOTE, SCORE. მიერთება, რაპორტი. | სავალდებულო | 5 | II |
| თანამედროვე აზროვნების საფუძვლები | სემესტრის განმავლობაში სტუდენტები გაიგებენ და გაიაზრებენ რა არის კრიტიკული აზროვნება, რა განსხვავებაა ძველსა და ახალ აზროვნებაში, რა არის „შეუძლებელი“ და „შესაძლებელი“ კრიტიკულ აზროვნბაში. არსებობს სამი პასუხი კრიტიკულ აზროვნებაში. | სავალდებულო | 5 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზოგადი ინგლისური A1/ B1/B2 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს A 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. | სავალდებულო | 5 | II |
| ჟურნალისტური წერის ტექნიკა | ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ჟურნალისტური წერის ძირითად პრინციპებს, ინტერვიუს ტექნიკას, წყაროებთან მუშაობას, პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს. ყოველივე ეს აუცილებელი კომპონენტებია მედიაპროდუქციის მოსამზადებლად. | სავალდებულო | 5 | III |
| ფოტოჟურნალისტიკა, შესავალი | კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფოტოგრაფიის ისტორიას, გაეცნობიან სხვადასხვა პერიოდის ფოტოგრაფების ნამუშევრებს და სხვადასხვა ფოტომიმდინარეობას, შეისწავლიან ფოტოგრაფიისთვის საჭირო ოპტიკას. | სავალდებულო | 5 | III |
| ვიდეოკამერით გადაღების ტექნიკა, სამონტაჟო პროგრამები და მათი გამოყენება, ლაბორატორიული | ა)მედიის სკოლაში არსებული კამერის ტექნიკურ პარამეტრების გაცნობა; სამონტაჟი პროგრამის Adobe Premier–ის გაცნობა;<br>ბ)ე.წ. სიკვენსური გადაღება და მონტაჟი;<br>გ)ინტერვიუ: ქუჩის ინტერვიუ (ე.წ. ვოქს–პოპი), ინტერვიუს ჩაწერა შენობაში/კაბინეტში;<br>დ)განათებების როლი გადაღებისას; ე.წ. რვიანი ინტერვიუს გადაღება;<br>ე)ნატურალური ხმებისა და მუსიკის როლი რეპორტაჟის შექმნისას;<br>ვ)სუბიექტური კამერით გადაღება და მონტაჟი;<br>ზ)ხმის ჩაწერა და მონტაჟი. პროგრამა Sound Forge–ის გაცნობა;<br>თ)მარტივი გრაფიკის შექმნა: ტიტრები, რუკა, ფოტოები. პროგრამა Adobe Photoshop–ის გაცნობა.<br>ი)მარტივი ანონსების მონტაჟი (ე.წ. ჰედლაინები);<br>კ)რთული ანონსების მონტაჟი (გადაცემები ანონსები, სარეკლამო რგოლები);<br>ლ)კადრის, მონტაჟისა და რეჟისურის როლი ე.წ. თოქ–შოუებში;<br>მ)რა ტიპის ვიდეო მასალის გადაღება შეიძლება დაგვჭირდეს საინფორმაციო გადაცემებში. | სავალდებულო | 5 | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სოციოლოგია, შესავალი | კურსი მიმოიხილავს და ერთმანეთს ადარებს იმ მიდგომებს, რასაც საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდი ეფუძნება. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ კვლევის მიზნის ჩამოყალიბებას და კვლევის დაგეგმვას მის შესაბამისად და რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შეგროვებასა და გაანალიზებას. ისინი ასევე შეძლებენ კვლევების შეფასებას მეთოდოლოგიური გამართულობის თვალსაზრისით. სტუდენტები გაიაზრებენ საზოგადოებივი აზრის კვლევის ეთიკურ შედეგებს. | სავალდებულო | 5 | III |
| მსოფლიო ლიტერატურა, I ნაწილი | მსოფლიო ლიტერატურა „გიილგამეშიანიდან“ ფიოდორ დოსტოევსკის რომანების ჩათვლით | სავალდებულო | 5 | III |
| ზოგადი ინგლისური A2.0/ B2.0 PT1 პროფესიული სამიზნე ენა | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის (მეორე სემესტრის სალექციო კურსსა და პროფესიულ ენასთან ერთობლიობაში), წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს A 2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. | სავალდებულო | 5 | III |
| ინტერვიუს ტექნიკა | სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ლექციების დრო ნაწილდება ისე, რომ სტუდენტი თეორიაშიც იღებს ინფორმაციას, პრაქტიკული სწავლების დროს კი ივითარებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სტუდენტები ლექციის მსვლელობისას დაუკავშირდებიან შერჩეულ რესპონდენტს და დაგეგმავენ ინტერვიუს. აიმაღლებენ პროფესიულ ცოდნას. სასწავლო კურსი ემსახურება იმას, რომ სტუდენტებმა სასწავლო პროცესშივე იგრძნონ თავი მოქმედ ჟურნალისტებად. სტუდენტებს მოუწევთ პრესკონფერეციებზე დასწრება და აქტიურობა. ლექციები ფაქტობრივად ხდება სამუშაო პროცესი. იქმნება გარემო, სადაც სტუდენტები მოქმედებენ როგორც ჟურნალისტები. ლექტორი არის მათი რედაქტორი, სტუდენტები კი ასრულებენ დავალებებს . შესრულებული სამუშაო არ რჩება მხოლოდ სასწავლო პროცესის ნაწილად. მასალები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში წარედგინება ფართო საზოგადოებას. | სავალდებულო | 5 | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინტერნეტ ჟურნალისტიკა – ახალი მედია, საბაზისო კურსი | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტი მიიღებს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენოს ინტერნეტის რესურსი ჟურნალისტურ საქმიანობაში; შეიმეცნებს იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ინტერნეტი იძლევა; ჩამოუყალიბდება საბაზისო უნარები იმისთვის, რომ როგორც ჟურნალისტმა, იმუშაოს ონლაინ-გამოცემისთვის. სტუდენტი ასევე გაეცნობა ამბის გადმოცემის ახალ ფორმებს და მეთოდებს, შეძლებს შექმნას საკუთარი ბლოგი, აქტიურად ჩაერთვება სოციალურ ქსელებში და გაიაზრებს მედიის ამ მიმართულების მნიშვნელობას; ჩამოუყალიბდება მულტიმედია ჟურნალისტიკაში სამუშაოდ საჭირო ჩვევები და უნარები. | სავალდებულო | 5 | IV |
| პროფესიული ეთიკა და თვითრეგულირება | მოცემული სასწავლო კურსი განიხილავს ეთიკური ნორმების საბაზისო ელემენტებს. ყოველი შეხვედრა დაიწყება სალექციო ნაწილით. სალექციო ნაწილში განხილულ საკითხებს სტუდენტები უფრო დაწვრილებით ლექტორის მიერ მითითებულ ლიტერატურაში გაეცნობიან. ყოველ შეხვედრაზე გათვალისწინებულია საკლასო სამუშაო, რომელსაც სტუდენტები ერთობლივად ასრულებენ და რომლის მიზანი სტუდენტებისათვის ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაა. ყოველ შეხვედრაზე ასევე გათვალისწინებულია ტესტი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გაიგო და აითვისა სტუდენტმა საშინაო დავალებად მიცემული საკითხავი. წერილობითი საშინაო დავალებების ერთი ნაწილის მიზანი სტუდენტისათვის პროფესიონალური წერის, ხოლო მეორესი – ანალიტიკური აზროვნებისა და წაკითხულისა და მოსმენილის პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარ-ჩვევების მიცემაა. ნახევარი კურსის შესწავლის შემდეგ ჩატარდება შუალედური წერილობითი გამოცდა, ხოლო მთლიანი კურსის დასრულების შემდეგ – დასკვნითი წერილობითი გამოცდა. თითქმის ყოველ ლექციაზე მოწვეული იქნება პროფესიონალი მედიის რომელიმე სექტორიდან, რომელიც სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრება. | სავალდებულო | 5 | IV |
| მეტყველების თეორია და კულტურა | კურსის მიზანია აღზარდოს ჟურნალისტები, როგორც განათლებული და ტექნიკურად გამართული სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დაიპყრონ მსმენელისა და მაყურებლის ყურადღება.<br>მათი სამეტყველო კულტურის დახვეწა წარიმართება ორი მიმართულებით: ერთი შეისწავლის და ავარჯიშებს ფიზიკურ მხარეს, ხოლო მეორე -მეტყველების შემოქმედებით ბუნებას. | სავალდებულო | 5 | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მსოფლიო ლიტერატურა, II ნაწილი | • მსოფლიო ლიტერატურა ლევ ტოლსტოიდან დაწყებული ალბერ კამიუს რომანების ჩათვლით<br>• ლიტერატურის თეორიის საკითხები | სავალდებულო | 5 | IV |
| ზოგადი ინგლისური A2./ B2.<br>PT2<br>პროფესიული სამიზნე ენა | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს A 2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. | სავალდებულო | 5 | IV |
| გაზეთის/ ჟურნალის გამოცემა | ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები, სასწავლო გაზეთის და მისი ვებ/ნაბეჭდი ვერსიის გამოშვების საფუძველზე, გაეცნობიან გაზეთის გამოშვების სრულ ციკლს. შეიძენენ გაზეთის ჟურნალისტისთვის/ რედაქტორისთვის/გამომცემელისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. | სავალდებულო | 5 | V |
| რადიოგადაცემების მომზადება | ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან რადიოჟურნალისტიკაში ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა პრინციპს, რადიოსათვის სპეციფიკურ გამომსახველობით ფორმებს. ისინი ისწავლიან აუდიომასალის მოპოვებას, დამუშავებას, რედაქტირებას, ელექტრონულ არაწრფივ მონტაჟს. ისინი დამოუკიდებლად ააწყობენ გადაცემებს და შეძლებენ პირდაპირ ეთერში მათ გაშვებას. მათ წარმოდგენა ექნებათ რადიოსადგურის დაფუძნებისა და მოქმედების პრინციპებზე. | სავალდებულო | 5 | V |
| მედიის სამართალი | კურსის გავლის შემთხვევაში, სტუდენტი გაიგებს, რა სამართლებრივი საფუძვლები აქვს მედიის დამოუკიდებლობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, რა როლს ასრულებს მედია სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოსა და კონსტიტუციური მართლწესრიგის ფორმირებაში, რა უფლება-მოვალეობანი გააჩნია ჟურნალისტს საქმიანობის განხორციელების დროს. კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ეცოდინება ის სამართლებრივი ბაზა, რომლის საზღვრებშიც ხორციელდება მედიის საქმიანობა, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლება, მედია ორგანიზაციის რეგულირება, საავტორო უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, დიფამაცია და სხვ. | სავალდებულო | 5 | V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თანამედროვე ლიტერატურა | გმირის დეკონსტრუქცია;<br>ქალაქი, როგორც საგამოფენო სივრცე;<br>ლიტერატურა, როგორც ფასტ-ფუდი;<br>საპნის კაცები;<br>სექსი, ნარკოტიკები და როკენ როლი<br>თანამედროვე თეატრი | სავალდებულო | 5 | V |
| ეკონომიკა, შესავალი | ეკონომიკის არსი. ეკონომიკის პრინციპები, საბაზრო სისტემა, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება. ადამიანთა ურთიერთქმედებები. ეკონომიკის ფუნქციონირება მთლიანობაში. მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. ეკონომიკური აზროვნება. ეკონომიკური ერთიერთქმედებები. ვაჭრობა. ბაზრის მექანიზმი: მოთხოვნა და მიწოდება. კონკურენტული ბაზარი და ფასები. ინდივიდუალური მოთხოვნა და მოთხოვნის წირი. მოთხოვნის წირის გადაადგილება და გადაადგილება მოთხოვნის წირზე. ინდივიდუალური მიწოდება და მიწოდების წირი. ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება. მიწოდების წირის გადაადგილება და გადაადგილება მიწოდების წირზე. ჭარბი მიწოდება, ჭარბი მოთხოვნა. საბაზრო წონასწორობა. ბაზარი და სამთავრობო პოლიტიკა. საზოგადოებრივი პროდუქტები და რესურსები. კონკურენცია და მისი სახეები. მოგების მაქსიმიზაცია. ბაზრის წონასწორობა. მონოპოლიები. წარმოების და ფასდადების გადაწყვეტილებები. რეგულაციები. ეროვნული შემოსავალი. შემოსავლები და ხარჯები. ერთიანი ეროვნული შემოსავალი. რეალური და ნომინალური ერთიანი ეროვნული შემოსავალი. ინვესტიციები და ფინანსური სისტემა. უმუშევრობა. შემოსავლის უთანაბრობა და სიღარიბე. უთანასწორობის რაოდენობრივი განსაზღვრა. სიღარიბის დონე. სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკური პროგრამები. | სავალდებულო | 5 | V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| B1.0 ზოგადი ინგლისური PT1 პროფესიული სამიზნე ენა | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის (მეორე სემესტრის სალექციო კურსსა და პროფესიულ ენასთან ერთობლიობაში), წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს B 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.<br><br>გრამატიკა: ინგლისური ენის დროთა სისტემა – აწმყო, წარსული და მომავალი დროები. სტატიკური და დინამიური ზმნები. სრული დროების შეპირისპირება განუსაზღვრელ დროებთან. დროის მარკერები. მომავალი მოქმედების გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში. მოდალური ზმნები. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები. ზედსართავთა რიგითობა ინგლისურ ენაში. ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში (*used to*). ძახილის წინადადებები. კავშირები. პირობითი წინადადებების სამი ტიპი.<br><br>ლექსიკა: შედგენილი ზედსართავი სახელები; არსებითი და ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები; წინდებულის გამოყენება ზედსართავი სახელების შემდეგ; სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული იდიომები. არსებითი სახელებისა და ზმნების ფიქსირებული წყვილები. იდიომები; ლათინური და სხვა ევროპული ენიებდან შემოსული სიტყვები;<br><br>განსახილველი თემები: მოდის სამყარო; გრძნობები და განწყობა; დასაქმება, გენდერული თანასწორობა; ოფიციალური წერილისათვის დამახასიათებელი სტილი; ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა; ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეკოლოგიური პრობლემები. | სავალდებულო | 5 | V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტელეგადაცემების მომზადება | - სატელევიზიო ახალი ამბების ჟანრები.<br>- სატელევიზიო სიუჟეტების წერის თეორია, ნიუსის სკრიპტრაიტინგი.<br>- აქსიომატური წესები და გამონაკლისი შემთხვევები.<br>- სიუჟეტის აგების სხვადასხვა ხერხი.<br>- სინქრონის, ინტერშუმის, ლაივის ხმარების წესები.<br>- აქცენტების დასმის ტექნიკა.<br>- განსხვავებული სკრიპტრაიტინგი განსხვავებული ტიპის სიუჟეტის წერისას.<br>- სტენდაფის ფუნქცია და მისი ჩაწერის ვარიანტები.<br>- კამერასთან მუშაობა.<br>- პირდაპირი ჩართვების სპეციფიკა.<br>- კადრების და ტექსტის სინქრონიზაცია.<br>- თხრობისა და მონტაჟის ლოგიკა.<br>- მკაცრად განსაზღვრულ დროში პირდაპირი ჩართვების გაკეთება<br>- მოცემულ დროში სიუჟეტის დაწერა | სავალდებულო | 5 | VI |
| მარკეტინგის საფუძვლები | კურსი წარმოაჩენს მარკეტინგს, როგორც მენეჯმენტის პროცესს. მისი წარმატებითგავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებას,იმის გათვალისწინებით, რომ ეცოდინება, თუ როგორ უნდა შეაფასოს გარემო, როგორ დაგეგმოს და წარმართოს მარკეტინგული ფუნქციები და განსაზღვროს, თუ რაელემენტებია უფრო მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის, როცა იღებს გადაწყვეტილებას რაიმე საქონლის შეძენასთან დაკავშირებით. საგანი იხილავს ისეთე საკითხებს, როგორებიცაა მარკეტინგული ინფორმაციის მართვა, პროდუქტისა და მომსახურების კონცეფციების ჩამოყალიბება, მათი შემდგომი მართვა; ასევე გადაწყვეტილებები ფასთან, დისტრიბუციასთან და მარკეტინგულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით. კურსის გავლის დროს განიხილება თუ როგორ უნდა დალაგდეს საბაზრო ინფორმაცია და გადაწყვეტილებები სტრატეგიულ დაგეგმვაში რაც ეხმარება ორგანიზაციას კომერციული წარმატების მოპოვებაში. | სავალდებულო | 5 | VI |
| გამოხატვის თავისუფლების მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები | ამ კურსის მეშვეობით სტუდენტი გაიგებს, თუ იდეათა რა ნაკრებს ემყარება ჟურნალისტის საქმიანობა და რა გავლენა მოახდინა რწმენათა ამ სისტემაზე იმ ინტელექტუალურმა კონცეფციებმა, რაც დასავლურ ცივილიზაციას დაედო საფუძვლად. | სავალდებულო | 5 | VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები და ტაქტიკა | კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან, თუ რა არის საზოგადოებასთან ურთიერთობა; რა განასხვავებს საზოგადოებასთან ურთიერთობას ჟურნალისტიკის, რეკლამისა და მარკეტინგისგან; საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მუდმივი პროცესი; მედიასთან ურთიერთობების როლი საზოგადოებასთან ურთიერთობებში; მედიასთან ურთიერთობების ძირითადი სტრატეგიები; ინტეგრირებული მიდგომა საზოგადოებასთან ურთიერთობისადმი. | სავალდებულო | 5 | VI |
| B1.0 ზოგადი ინგლისური PT2 პროფესიული სამიზნე ენა | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის (მეორე სემესტრის სალექციო კურსსა და პროფესიულ ენასთან ერთობლიობაში), წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს B 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.<br><br>გრამატიკა: ინგლისური ენის დროთა სისტემა – აწმყო, წარსული და მომავალი დროები. სტატიკური და დინამიური ზმნები. სრული დროების შეპირისპირება განუსაზღვრელ დროებთან. დროის მარკერები. მომავალი მოქმედების გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში. მოდალური ზმნები. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები. ზედსართავთა რიგითობა ინგლისურ ენაში. ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში (*used to*). ძახილის წინადადებები. კავშირები. პირობითი წინადადებების სამი ტიპი.<br><br>ლექსიკა: შედგენილი ზედსართავი სახელები; არსებითი და ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები; წინდებულის გამოყენება ზედსართავი სახელების შემდეგ; სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული იდიომები. არსებითი სახელებისა და ზმნების ფიქსირებული წყვილები. იდიომები; ლათინური და სხვა ევროპული ენიებდან შემოსული სიტყვები;<br><br>განსახილველი თემები: მოდის სამყარო; გრძნობები და განწყობა; დასაქმება, გენდერული თანასწორობა; ოფიციალური წერილისათვის დამახასიათებელი სტილი; ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა; ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეკოლოგიური პრობლემები. | სავალდებულო | 5 | VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| PT1 პროფესიული სამიზნე ენა | მედია ინგლისურის კურსი განკუთვნილია მედია სკოლის მეორე კურსის სტუდენტთათვის, რომელთაც უკვე გავლილი აქვთ ზოგადი ინგლისურის კურსი და აქვთ ენის ცოდნა სამუშაო დონეზე.<br>კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო ენა, სტრუქტურა, კონვენცია და ეთიკური სტანდარტები. სტუდენტები დაეუფლებიან ენის ოთხივე ასპექტს: კითხვა, წერა, მოსმენა და ზეპირმეტყველება. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციურ აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც სტუდენტები უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს და უკეთ გაიგებენ როგორც ზოგადად ინგლისურ ენას, ასევე კონკრეტულად ინგლისურენოვან პროფესიულ მასალებსაც და ამ მასალების კონტექსტსაც. | სავალდებულო | 5 | VII |
| PT2 პროფესიული სამიზნე ენა | მედია ინგლისურის კურსი განკუთვნილია მედია სკოლის მეორე კურსის სტუდენტთათვის, რომელთაც უკვე გავლილი აქვთ ზოგადი ინგლისურის კურსი და PT1 პროფესიული სამიზნე ენა.<br>ამ კურსის ფარგლებში, გარდა იმისა, რომ გაგრძელდება პროფესიული ლექსიკის კიდევ უფრო მეტად გამდიდრებაზე მუშაობა, სტუდენტები აქცენტირებულად იმუშავებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში საჭირო მასალების მომზადებაზე, როგორც წერით, ასევე, ვერბალურად.<br>სტუდენტები გამართავენ დისკუსიას პროფესიულ თემებზე. ამავდროულად, აქცენტი გაკეთდება იმაზე, რომ გაიზარდოს სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია. ეს კურსი განსხვავდება უფრო ქვედა საფეხურისაგან იმით, რომ ლექსიკური მარაგი უფრო დახვეწილია და მიმართულია სტუდენტების უფრო მაღალ შედეგზე.<br>საკითხები და თემები, რომლებიც განხილული იქნება კურსის მანძილზე აღებულია თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებიდან, რადიო და ტელე გადაცემებიდან, ინგლისურენოვანი ქვეყნების სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის ვებ-გვერდებიდან. | სავალდებულო | 5 | VIII |
| მედია და პოლიტიკა | კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკური მეცნიერებების საბაზისო საკითხებს; გაერკვევიან პოლიტიკისა და მედიის ურთიერთობაში; ლიტერატურისა და პრაქტიკული მაგალითების ანალიზით შეიძენენ ცოდნას ხელისფლებისა და მედიის კომუნიკაციის შესახებ. | არჩევითი | 5 | VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქართულ-რუსული ურთიერთობები | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას ტექსტური, ვიზუალური და აუდიო ინფორმაციის შექმნაში, ვებგვერდზე განთავსებასა და შემდგომ მართვაში. კურსი მიაწვდის სტუდენტს საფუძვლიან ცოდნას იმის თაობაზე, თუ რა მხატვრული და ტექნიკური ხერხების გამოყენებით იქმნება საინტერესო, კითხვადი და ეფექტური საინფორმაციო პროდუქტი (რეპორტაჟი, პირადი ან პროფესიული ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტები). კურსის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ინტერნეტისთვის წერის სპეციფიკაზე, ჟურნალისტიკისა და ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებზე. საგანი სტუდენტის პროფესიულ ინტერესებზეა მორგებული და ინდივიდუალური პროექტების განხორციელების გზით ცოდნის სასურველი მიმართულებით გაღრმავების საშუალებას იძლევა. განსახილველ საკითხთა შორის იქნება: ინტერნეტ ტექსტის სტრუქტურა (ლიდი, კომპოზიცია, ძირითადი ტექსტი და ბმულები). ინტერნეტ ჟურნალისტიკა და ეთიკა. რა ეთიკური პრობლემები წამოიჭრება ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელების დროს; ინტერნეტ რედაქტორი. რა ამოცანები დგას ინტერნეტ რედაქტორის წინაშე; როგორ გავზარდოთ სტატიის კითხვადობა, მოვარგოთ ფოტო ტექსტს და პირიქით; მულტიმედია რეპორტაჟები. | არჩევითი | 5 | VI |
| წერა საერთაშორისო მედიისთვის (ინგლისურ ენაზე) | კურსის მიზანია მსმენელებს გამოუმუშაოს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარ–ჩვევები საერთაშორისო მედია სივრცეში ეფექტური მოღვაწეობისათვის. | არჩევითი | 5 | VI |
| სატელევიზიო ახალი ამბების მომზადება | სატელევიზიო ახალი ამბების მომზადება ნიუსრუმის სამუშაო რეჟიმის ზუსტ იმიტაციას გულისხმობს. მასში შედის ჟურნალისტური საქმიანობა: რეპორტაჟების გადაღება, სკრიპტების დაწერა, დამონტაჟება, ჩართვები, ინტერვიუს ჩაწერა; გამშვები რედაქტორის საქმიანობა: ინფორმაციის მოპოვება, პრიორიტეტების გამოყოფა, გამოშვების ბადის გაკეთება; სკრიპტების რედაქტორის ფუნქციები: ტექსტის შემოწმება და რედაქტირება; წამყვანის მოვალეობანი: სიუჟეტის შესაყვანი და გამოსაყვანი ტექსტების დაწერა, „კადრი-სინქრონის“ ტექსტის დაწერა, სიუჟეტების ბმა, ფორს-მაჟორულ სიყუაციებში მუშაობა. | არჩევითი | 5 | VII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მედია და საზოგადოება | მედია როგორც კულტურის ნაწილი, საზოგადოების მოლოდინი მედიის მიმართ; მედია და დემოკრატიული მეხსიერება; მედია და საზოგადოების დღის წესრიგი; სიძულვილის ენა მედიაში და მისი გავლენა საზოგადოების განწყობებზე; მედია და გენდერული სტერეოტიპები; მედიის როლი საარჩვენო პროცესებში; მედია, როგორც სახალხო ფორუმი; მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები; მედია წიგნიერება დემოკრატიის სამსახურში; ცოდნის უფსკრულის თეორია და მისი ევოლუცია; მედია და ლინგვისტური სივრცე; მედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში; | არჩევითი | 5 | VII |
| საგამოძიებო ჟურნალისტიკის საფუძვლები | კურსი მოიცავს ჟურნალისტური გამოძიების თეორიას, მის ყველა შესაძლო ასპექტს და სპეციფიკას მედია ფორმატის მიხედვით (პრესა, რადიო, ტელევიზია). თეორია განხილულია და ილუსტრირებული ჟურნალისტური გამოძიების საუკეთესო მაგალითებზე დაყრდნობით, - ძირითადად ამერიკული და ბრიტანული მედიიდან, თუმცა ნაწილობრივ ქართული და ლათინური ამერიკის მედია გამოცდილებასაც განიხილავს. თეორიულ სწავლებასთან და პრაქტიკულ მაგალითებთან ერთად, კურსი პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც მოიცავს, როგორც ჯგუფურს, ასევე ინდივიდუალურს და, შედეგად, სტუდენტს ჟურნალისტური გამოძიების დამოუკიდებლად და სრულფასოვნად ჩატარებისთვის ამზადებს. კურსი განიხილავს საგამოძიებო ჟურნალისტიკის როლსა და გავლენას საზოგადოებაზე, ხელისუფლებასა და მედიაზე, მის დანიშნულებას, დადებით და უარყოფით ასპექტებს. | არჩევითი | 5 | VII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ონლაინ მედიალაბი | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას ტექსტური, ვიზუალური და აუდიო ინფორმაციის შექმნაში, ვებგვერდზე განთავსებასა და შემდგომ მართვაში. კურსი მიაწვდის სტუდენტს საფუძვლიან ცოდნას იმის თაობაზე, თუ რა მხატვრული და ტექნიკური ხერხების გამოყენებით იქმნება საინტერესო, კითხვადი და ეფექტური საინფორმაციო პროდუქტი (რეპორტაჟი, პირადი ან პროფესიული ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტები). კურსის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ინტერნეტისთვის წერის სპეციფიკაზე, ჟურნალისტიკისა და ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებზე. საგანი სტუდენტის პროფესიულ ინტერესებზეა მორგებული და ინდივიდუალური პროექტების განხორციელების გზით ცოდნის სასურველი მიმართულებით გაღრმავების საშუალებას იძლევა. განსახილველ საკითხთა შორის იქნება: ინტერნეტ ტექსტის სტრუქტურა (ლიდი, კომპოზიცია, ძირითადი ტექსტი და ბმულები). ინტერნეტ ჟურნალისტიკა და ეთიკა. რა ეთიკური პრობლემები წამოიჭრება ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელების დროს; ინტერნეტ რედაქტორი. რა ამოცანები დგას ინტერნეტ რედაქტორის წინაშე; როგორ გავზარდოთ სტატიის კითხვადობა, მოვარგოთ ფოტო ტექსტს და პირიქით; მულტიმედია რეპორტაჟები. | არჩევითი | 5 | VII |
| “პიარ” ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა | ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. სტუდენტი შეისწავლის ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის მთლიან ციკლს, რომელიც მოიცავს საკითხის (ღონისძიების) იდენტიფიცირება-გაანალიზებას, ეფექტურ დაგეგმარებას, კოორდინაციას და კონტროლს. კურსი დაეხმარება მსმენელებს ღონისძიებების დაგეგმვის და მართვის ეფექტური უნარების გამომუშავება-განვითარებაში. | არჩევითი | 5 | VII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მედიის კვლევის მეთოდები | საგანი მედიის კვლევის მეთოდები<br>სტუდენტებს ცოდნას აძლევს აკადემიური კვლევების მიმართულებით მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის დარგში.<br>საგანი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნის მიწოდებას იმისთვის, რომ მათ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ჰქონდეთ სრული მზაობა სრულყოფილი და ხარისხიანი აკადემიური კვლევის ჩასატარებლად.<br>კურსის განმავლობაში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კვლევის ყველა ეტაპის შესახებ. დეტალურად ხდება კვლევის ეტაპების შესწავლა: თუ როგორ ხდება დაგეგმვა, კვლევის დიზანის ჩამოყალიბება, მასალების მოძიება და ანალიზი, შედეგების პრეზენტაცია. სტუდენტები ასევე იღებენ დეტალურ ცოდნას მედიის კვლევის მეთოდების შესახებ. ხდება იმის გააზრება, თუ რა სხვაობაა ჟურნალისტურ და აკადემიურ კვლევას შორის.<br>კურსის ფინალისთვის თითოეული სტუდენტი ამზადებს ინდივიდუალურ კვლევის გეგმას, მისთვის საინტერესო თემაზე. | არჩევითი | 5 | VII |
| მედია მენეჯმენტი | სასწავლო კურსი მოიცავს, როგორც მთლიანად მედიის მენეჯმენტის საფუძვლებს, ისე, კონკრეტულად ახალი ამბების განყოფილების მენჯმენტსა და შინაარსის დაგეგმვას: მედიაორგანიზაციის მენჯმენტი, მენეჯერის უფლება-მოვალეობები, გადაწყვეტილებების მიღება, სტრატეგიული დაგეგმვა და პერსონალის მართვა, მედიაორგანიზაციის სტრუქტურა; სარედაქციო მენეჯმენტი და ახალი ამბების განყოფილების ადმინისტრაციული და შინაარსობრივი მართვა, კონტენტის დაგეგმვა და მომზადება. კურსი მოიცავს თეორიულ ნაწილს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, როგორც ლექციის დროს, ისე საშინაო დავალებების სახით. სალექციო კურსი ასევე მოიცავს დისკუსიებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებს, დებატებს, ვიდეო სესიებს. კურსის მეორე ნახევარში სტუდენტებს დაევალებათ მცირე კვლევის წარმოება და პრეზენტაცია. | არჩევითი | 5 | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება | ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან კონფლიქტების გაშუქებისთვის აუცილებელ საბაზისო პრინციპებს. აქცენტი გაკეთდება "მშვიდობის ჟურნალისტიკის" კონცეფციაზე და მომავალ ჟურნალისტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.<br><br>სტუდენტები გააანალიზებენ სირთულეებს, რომელიც ჟურნალისტებს ხვდებათ შიდა და საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქებისას; გაიცნობენ მექანიზმებს, რომლებიც მედია საშუალებების ხელთაა კრიზისების დროს; იფიქრებენ იმაზე, თუ როგორ დაიცვან პროფესიული ეთიკა კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციებში ჟურნალისტური სტრატეგიის განსაზღვრისას.<br><br>მიღებული თეორიული ცოდნა გამყარდება პრაქტიკული სამუშაოებით. | არჩევითი | 5 | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პოლიტიკის გაშუქება | ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან პოლიტიკის გაშუქების ფუნდამენტურ პრინციპებს, ასევე კონცეფციებს, რომელიც დაეხმარება მათ კონტექსტის ანალიზის უნარის ფორმირებაში. აქცენტი გაკეთდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების შესახებ შეზღუდულ ვადაში წერისა და კრიტიკული ანალიზის უნარზე.<br>სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, გამოიკვლიონ სოციალური მედიის გამოყენების როლი საარჩევნო კამპანიებისა და პოლიტიკის გაშუქებაში. კურსი ხელს უწყობს პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების მეთოდების ცოდნის გაღრმავებას. მომავალი ჟურნალისტები გაეცნობიან შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკის გაშუქების სირთულეებს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე; ასევე, წყაროსთან მუშაობისა და პოლიტიკაზე საინტერესოდ წერის ტექნიკას ჟურნალისტური პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის გათვალისწინებით.<br>კურსი ემყარება რწმენას, რომ ჟურნალისტის მთავარი მიზანია, ემსახუროს საზოგადოებას, პოლიტიკური ჟურნალისტიკის მიზანი კი არის მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მათ სამოქალაქო აქტივობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის სჭირდებათ. სწორედ ამ მიზნით აშუქებენ ჟურნალისტები პოლიტიკას, მართვას, არჩევნებს, კანდიდატებს, მიღებულ კანონებს, თუ დაფარულ ამბებს, ამ მიზნით გამოაქვთ პოლიტიკური საკითხები საჯარო ასპარეზზე.<br>თეორიული ცოდნის პარალელურად სტუდენტებს მიეცემათ პრაქტიკული დავალებები, რომელიც მათ პოლიტიკის გაშუქების შესახებ კომპლექსურ წარმოდგენას შეუქმნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაშიც დაეხმარება. | არჩევითი | 5 | VII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ახალი ამბების პროდიუსინგი | სასწავლო კურსი მოიცავს სატელევიზიო ახალი ამბების დაგეგმვისა და აღსრულების საკითხებს. განსახილველი თემებია: ახალი ამბების პროდიუსინგი, კონტენტის დაგეგმვა, მომზადება და ეთერში გაშვება, პროდიუსერის უფლება-მოვალეობები, ნიუსრუმის ადმინისტრაციული და შინაარსობრივი მართვა, გადაწყვეტილებების მიღება, კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტი, ურთიერთობა კორესპონდენტენტებთან, წამყვანებთან და ნიუსრუმის სხვა რგოლებთან. კურსი მოიცავს თეორიულ ნაწილს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, როგორც ლექციის დროს, ისე საშინაო დავალებების სახით. სალექციო კურსი ასევე მოიცავს დისკუსიებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებს, ვიდეო სესიებს, საინფორმაციო გამოშვებების ჩვენებას და ანალიზს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს. კურსის მეორე ნახევარში სტუდენტებს დაევალებათ მცირე კვლევის წარმოება და პრეზენტაცია. | არჩევითი | 5 | VII |
| კულტურის ამბების გაშუქება | კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან კულტურის თემების გაშუქების სპეციფიკას, მის მნიშვნელობას. როგორ შეიძლება წარმოაჩინო და ასახო ის მედიაში. რა აუცილებელი უნარებია საჭირო კულტურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგზე მუშაობისას. რამდენად სპეციფიკურია კულტურის ამბების გაშუქება და სად გადის ზღვარი იაფფასიან და ღირებულ შემოქმედებას შორის. როგორ უნდა აქციო მასშტაბური კულტურული პროექტი მოკლე, საინტერესო და საჭირო რეპორტაჟად. სად უნდა ეძებო, იპოვო და ამოიცნო ღირებული ამბები კულტურაზე, ვის შეიძლება გააკეთებინო ანალიზი თუ შეფასება და როგორ მოიპოვო თითქმის არარსებული კრიტიკა. რა შეუძლია მედიას კულტურის, მისი განვითარებისა და პოპულარიზებისთვის. თეორიულ ცოდნასთან ერთად სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. | არჩევითი | 5 | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეკონომიკისა და ბიზნესის გაშუქება | კურსი სტუდენტებს შეასწავლის ეკონომიკური და ბიზნეს თემების გაშუქების პრინციპებს ყველა ტიპის მედია საშუალებისთვის (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი). აქცენტი გაკეთდება საზოგადოებისთვის საინტერესო თემების მოძიებაზე; კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული ჟურნალისტური კვლევების ჩატარებაზე – ინფორმაციის მოპოვების ტექნოლოგიაზე; იმაზე, თუ სხვადასხვა ჟურნალისტური ხერხის დახმარებით, როგორ უნდა დაიწეროს და გადმოიცეს რთული ეკონომიკური და ბიზნეს თემები აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება თხრობის ვიზუალურ მხარეზე, როგორც გადმოცემის ერთ-ერთ დამხმარე საშუალებაზე ამ მიმართულებაში – ცხრილებზე, გრაფიკებზე, ციფრების გასაგებად „შეფუთვის" ტექნოლოგიაზე. კურსის ფინალისთვის სტუდენტები წარმოადგენენ მედია პროდუქტს. | არჩევითი | 5 | VIII |
| სამაუწყებლო რეპორტინგის პრაქტიკული ლაბორატორია | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას სამაუწყებლო რეპორტიგში. კურსის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე: რადიოს მიმართულებით წინასწარ ჩაწერილი პროგრამების მომზადება – ჩანაწერი vs პირდაპირი ეთერი; პირდაპირი ეთერი, რადიოს ჟღერადობა (ტემპი, შინაარსი, გამოცხადების სტილი, ბგერის წყაროების შერჩევა), რჩევები პირდაპირი ეთერისათვის – რუტინის განსაზღვრა, წინასწარ დაგეგმვა, მუშაობა სატელიტთან და ქსელებთან; კომპიუტერი რადიო წარმოებაში. ტელევიზიის მიმართულებით მოხდება სიღმისეული მუშაობა საინფორმაციო საბაბის გამოყოფაზე, აქცენტების სწორად დასმაზე. მიზნობრივი აუდიტორიის გამოკვეთასა და ეთნოფსიქოლოგიური სპეციფიკის გათვალისწინებაზე რეპორტინგისას. პრაქტიკულად მოხდება ტრენინგი წერის სპეციფიკაზე საგანგებო სიტუაციებში. შესაბამისად, კურსის მსმენელები კარგად განსაზღვრავენ, სად გადის ხაზი ოპერატიულობასა და ფაქტის უტყუარობას შორის. აქცენტი გაკეთდება ასევე ნიუსის ევვოლუციაზე - თუ როგორ უნდა გადმოვცეთ მოვლენა მოხდენიდან 15 წუთში ერთხელ, 2 საათში ერთხელ, დღის ბოლოს. როგორ უნდა დაიწეროს პირველი ფრაზა. როგორ უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია. წყაროს შემოწმება; კადრებისა და ტექსტის ურთიერთშერწყმის პრინციპი. რეპორტაჟზე "ხმის დადების" თავისებურებანი; პირდაპირი ჩართვების სპეციფიკა. | არჩევითი | 5 | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დოკუმენტური ფილმი, შესავალი | რა არის დოკუმენტური კინო?დოკუმენტური ფილმის ჟანრები. ამბავი დოკუმენტური ფილმისთვის. თხრობის კლასიკური წესები. ვიზუალური თხრობა.<br>ვიზუალური თხრობის იარაღი: კადრირება, კადრის ზომა, მონტაჟი.<br>მონტაჟის ძირითადი წესები. ფილმწარმოების ეტაპები. | არჩევითი | 5 | VIII |
| რეკლამა, შესავალი | მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტი მიიღებს საბაზისო ცოდნას რეკლამის, როგორც მარკეტინგის ინსტრუმენტის შესახებ. სტუდენტები გამოიმუშავებენ უნარ-ჩვევებს ეფექტური სარეკლამო კამპანიის შესაქმნელად – შეისწავლიან სამიზნე სეგმენტის განსაზღვრას და მასთან მუშაობას, ეფექტიან კომუნიკაციას, კრეატიულ მიდგომას რეკლამისადმი და ოპტიმალური მედია-საშუალების შერჩევას. მოცემული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა რეკლამის შესახებ, იმ ამოცანებისა და პრობლემების შესახებ, რომლებსაც ყოველდღიურ მუშაობაში აწყდებიან რეკლამის პროფესიონალები საქართველოში. | არჩევითი | 5 | VIII |
| ინტერკულტურული კომუნიკაცია | საგანი სტუდენტებს საშუალებას მისცემს გაეცნონ თანამედროვე კომუნიკაციის მეთოდებს, რომლებიც განვითარდა დასავლეთში, განსაკუთრებით ამერიკულ პრაქტიკაში ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად და რომელიც დღემდე ჩამოყალიბების პროცესშია. ასევე სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაეცნონ ორგანიზების სხვადასხვა თეორიულ მოდელებს, რომლებსაც ორგანიზაციები დასაბამიდან დღემდე იყენებენ. | არჩევითი | 5 | VIII |
| პოლიტიკური „პიარ“ კამპანიების დაგეგმვა და მართვა | პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია, პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიის რესურსები, საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის ელემენტები, საარჩევნო კამპანიის რესურსები, საარჩევნო კამპანიის მესიჯი, საარჩევნო კამპანიის შტაბი, საარჩევნო კამპანიის მენეჯმენტი ,საარჩევნო კამპანიის სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, საარჩევნო კამპანიის სოციოლოგიური კვლევის ფორმები, საარჩევნო კამპანიის სოციოლოგიური კვლევის კონტროლი, უფასო და ფასიანი მედია, საველე ტექნოლოგიები ,ალტერნატიული ტექნოლოგიები, შავი PR, იმიჯის ელემენტები,საჯარო გამოსვლები | არჩევითი | 5 | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფრანგული ენა ა1/0<br>ფრანგული ენა ბ1/0 | ფრანგული ენის სწავლების I სემესტრში ფრანგული ენა ისწავლება ზოგადად. კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე. | არჩევითი | 5 | V |
| ფრანგული ენა ა1<br>ფრანგული ენა ბ1 | ფრანგული ენის სწავლების II სემესტრში ფრანგული ენა ისწავლება ზოგადად. კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე. | არჩევითი | 5 | VI |
| ფრანგული ენა ა2/0<br>ფრანგული ენა ბ2/0 | მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას. | არჩევითი | 5 | VII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფრანგული ენა ა2<br>ფრანგული ენა ბ2 | მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას. | არჩევითი | 5 | VIII |
| გერმანული ენა ა1/0<br>გერმანული ენა ბ1/0 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორ (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის პირველ ეტაპს. სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის საფუძველი, რომელიც ყოველი მომდევნო საფეხურის წარმატებულად გავლის წინაპირობად ითვლება. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | V |
| გერმანული ენა ა1<br>გერმანული ენა ბ1 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეორე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიმყარებენ პირველი სემესტრის განმავლობაში შეძენილ უნარ-ჩვევებს და მიიღებენ იმ ენობრივ ცოდნას, რომელიც სრულად შეესაბამება A 1 დონეს (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო). ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანული ენა ა2/0<br>გერმანული ენა ბ2/0 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ექნებასათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A 2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | VII |
| გერმანული ენა ა2<br>გერმანული ენა ბ2 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეოთხე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები განიმტკიცებენ ცოდნას, რომელსაც დაეუფლნენ წინა სამი სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა გერმანული ენის A2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) გამოცდის ჩასაბარებლად და შესაბამისი სერთიფიკატის მოსაპოვებლად. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. | არჩევითი | 5 | VIII |
| ესპანური ენა ა1/0<br>ესპანური ენა ბ1/0 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ესპანურის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის პირველ ეტაპს. სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის საფუძველი, რომელიც ყოველი მომდევნო საფეხურის წარმატებულად გავლის წინაპირობად ითვლება. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ესპანური ენა ა1<br>ესპანური ენა ბ1 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ესპანურის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეორე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიმყარებენ პირველი სემესტრის განმავლობაში შეძენილ უნარ-ჩვევებს და მიიღებენ იმ ენობრივ ცოდნას, რომელიც სრულად შეესაბამება A 1 დონეს (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო). ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | VI |
| ესპანური ენა ა2/0<br>ესპანური ენა ბ2/0 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ესპანურის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ექნებასათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A 2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. | არჩევითი | 5 | VII |
| ესპანური ენა ა2<br>ესპანური ენა ბ2 | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ესპანურის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეოთხე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები განიმტკიცებენ ცოდნას, რომელსაც დაეუფლნენ წინა სამი სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა ესპანური ენის A2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) გამოცდის ჩასაბარებლად და შესაბამისი სერთიფიკატის მოსაპოვებლად. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. | არჩევითი | 5 | VIII |